

საქართველოს ტურიზმის სექტორის ანტიკრიზისული სტრატეგია
პანდემიის პირობებში

ხატია კოჭაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა : ბიზნესის, ტექნოლოგიისა და
განათლების ფაკულტეტი
მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი - საბა ჯაჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი „საქართველოს ტურიზმის სექტორის ანტიკრიზისული სტრატეგია პანდემიის პირობებში“ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ხატია კოჭაძე

21/10/2020

აბსტრაქტი

საქართველო ტურისტული პოტენციალით მდიდარი ქვეყანაა, სახელმწიფოც მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს ტურიზმის სფეროს განვითარებას, რადგან აღნიშნული ქართული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი დარგია. ჩინეთის ქალაქ უხანში 2020 წლის დეკემბერში აღმოჩენილმა კორონავირუსის დაავადებამ, რომელიც უმოკლეს ვადაში გავრცელდა და მსოფლიო პანდემიად იქცა, გავლენა იქონია ტურიზმის სფეროზეც. ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის დაწესებულმა შეზღუდვებმა, საერთაშორისო ფრენების აკრძალვამ და საერთო ჯამში ტურისტული ნაკადის შემცირებამ ქვეყანაც და ამ დარგში მოღვაწე თითოეული ადამიანი უდიდესი პრობლემების წინაშე დააყენა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს პანდემიის პირობებში ტურიზმში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა. მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის შეფასება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ლიტერატურა საქართველოს უახლესი ისტორიიდან, კერძოდ, კვლევითი ორგანიზაციების სტატისტიკა, ექსპერტთა შეფასებები და საერთაშორისო გამოცდილება.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ ცხადყო, რომ ანტიკრიზისულმა გეგმამ და მთავრობის მიერ გადადგმულმა სტრატეგიულმა ნაბიჯებმა ტურიზმის სფერო იხსნა ჩამოშლისგან და შეუნარჩუნა სტაბილურობა. კვლევის მთავარი მიგნება კი სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით, ტურიზმის სფეროში მოღვაწე რესპოდენტებისაგან მიღებული უკუკავშირია. ნაშრომი წარმოადგენს ახალ ცოდნას, ინფორმაციულ რესურსს და ვფიქრობ სასარგებლო გზამკვლევი იქნება იმ მკვლევარებისთვის, ვინც სამომავლოდ აღნიშნული საკითხით დაინტერესდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პანდემია, ანტიკრიზისული გეგმა, კორონავირუსი, უკუკავშირი.

ABSTRACT

Georgia is a country rich in tourism potential, and the state is constantly trying to promote the development of tourism, as it is the main driving force of the Georgian economy. The coronavirus, discovered in December 2020 in the Chinese city of Wuhan, which spread in a short time and became a world pandemic, has also affected the tourism sector. Restrictions on preventing the spread of the virus, banning international flights and reducing the overall flow of tourists have put the country and every person working in this field in the biggest problems.

The aim of the study is to study the current changes in tourism in a pandemic. Evaluate the anti-crisis plan developed by the government. For the purpose of the research, the paper discusses the literature on the recent history of Georgia, in particular, statistics of research organizations, expert evaluations and international experience.

A qualitative study conducted within the paper revealed that the anti-crisis plan and the strategic steps taken by the government saved the tourism sector from collapsing and maintained stability. The main finding of the research is the feedback received from the respondents working in the field of tourism through in-depth interviews. The paper is a new knowledge, information resource and I think it will be a useful guide for researchers who will be interested in this topic in the future.

Keywords: pandemic, anti-crisis plan, coronavirus, feedback.

მადლობა

მადლობა მსურს გადავუხადო, თემის ხელმძღვანელს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროფესორს - საბა ჯაჯანიძე რეკომენდაციებისა და გაწეული დახმარებისთვის. კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მადლობას ვუხდით სიღრმისეულ ინტერვიუში მონაწილე განთავსებისა და ტურიზმის სფეროს ყველა წარმომადგენელს.